სსიპ ანტიკორუფციული ბიურო

E-Mail: fara@acb.gov.ge, Tel. 0 (32) 2193320

დანართი №9 - საბოლოო განცხადება

I - განმცხადებელი

1. (ა) განმცხადებლის სახელი, გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში: სამართლებრივი ფორმა და დასახელება)

(ბ) რეგისტრაციის ნომერი

(გ) იურიდიული მისამართი

---

2. განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილება თავდაპირველად წარდგენილ რეგისტრაციის განცხადებაში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში

1. ფაქტობრივი მისამართი

---

2. მოქალაქეობა

---

3. საქმიანობა

(ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში

1. დასახელება

---

2. ორგანიზაციის მფლობელი ან მაკონტროლებელი

---

3. ფილიალები

(გ) არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განმარტეთ (ა) და (ბ) პუნქტებში მითითებული ცვლილებები.

თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია, გამოტოვეთ მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 შეკითხვები

3. თუ განმცხადებელმა ადრე წარადგინა დანართი №4, აღწერეთ, განხორციელდა თუ არა ცვლილება ამ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში?

თუ მონიშნეთ „დიახ“, წარადგინა თუ არა განმცხადებელმა განახლებული დანართი №4?

თუ მონიშნეთ „არა“, გთხოვთ წარმოადგინოთ განახლებული დანართი №4.

4. (ა) დაიკავა თუ არა რომელიმე ფიზიკურმა პირმა პარტნიორის, მმართველის, დირექტორის ან მსგავსი ოფიციალური თანამდებობა ამ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში?

თუ მონიშნეთ „დიახ“, შეავსეთ შემდეგი ინფორმაცია:

სახელი, გვარი	ფაქტობრივი მისამართი	მოქალაქეობა	პოზიცია	საქმიანობის დაწყების თარიღი

4. (ბ) მოცემულ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში, შეწყვიტა თუ არა რომელიმე პირმა საქმიანობა, როგორც პარტნიორმა, მმართველმა, დირექტორმა ან მსგავსი პოზიციის მქონე პირმა?

თუ მონიშნეთ „დიახ“, შეავსეთ შემდეგი ინფორმაცია:

სახელი, გვარი	პოზიცია	საქმიანობის შეწყვეტის თარიღი

5. (ა) გასწია თუ არა მე-4 (ა) პუნქტში დასახელებულმა პირმა მომსახურება უშუალოდ რომელიმე უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესების გათვალისწინებით?

თუ მონიშნეთ „დიახ“, დაასახელეთ თითოეული ასეთი პირი და აღწერეთ გაწეული მომსახურება.

სახელი, გვარი	უცხოური პრინციპალ(ებ)ი რომელსაც პირი წარმოადგენს	მომსახურება

5. (ბ) ამ ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რომელიმე თანამშრომელმა ან პირმა, რომელიც მუშაობს პარტნიორის, მმართველის, დირექტორის ან მსგავს პოზიციაზე (გარდა საქმისწარმოების/საორგანიზაციო ან მასთან დაკავშირებული მსგავსი საქმიანობებისა), დაიწყო თუ არა განმცხადებლისთვის მომსახურების გაწევა, რაც გულისხმობდა უშუალოდ უცხოური პრინციპალის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებას?

სახელი, გვარი	უცხოური პრინციპალი	ფაქტობრივი მისამართი	მოქალაქეობა	პოზიცია	საქმიანობის დაწყების თარიღი

5. (გ) რომელიმე თანამშრომელმა ან პირმა (მათ შორის, პარტნიორებმა, მმართველებმა,

დირექტორებმა ან მსგავს პოზიციაზე დასაქმებულმა პირებმა), რომლის შესახებაც შევსებულ იქნა მოკლე სარეგისტრაციო ფორმა, შეწყვიტა კავშირი ან შრომითი ურთიერთობა განმცხადებელთან ამ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში?

თუ მონიშნეთ „დიახ“, წარადგინეთ შემდეგი ინფორმაცია

სახელი, გვარი	პოზიცია ან კავშირი	შეწყვეტის თარიღი

5. (დ) რომელიმე თანამშრომელმა ან დაკავშირებულმა პირმა (მათ შორის, პარტნიორებმა, მმართველებმა, დირექტორებმა ან მსგავს პოზიციაზე დასაქმებულმა პირებმა), რომლის შესახებაც წარდგენილ იქნა მოკლე სარეგისტრაციო ფორმა, შეწყვიტა თუ არა კავშირი რომელიმე უცხოურ პრინციპალთან ამ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში?

სახელი, გვარი	პოზიცია ან კავშირი	უცხოური პრინციპალი	შეწყვეტის თარიღი

6. იყო თუ არა 5 (ა) და 5 (ბ) პუნქტებში დასახელებული ყველა პირის მიერ ამ განცხადებასთან ერთად მანამდე შეტანილი ან წარდგენილი მოკლე სარეგისტრაციო ფორმის განცხადებები?

II - უცხოური პრინციპალი

7. დასრულდა თუ არა განმცხადებლის კავშირი რომელიმე უცხოურ პრინციპალ(ებ)თან ამ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში?

თუ მონიშნეთ „დიახ“, შეავსეთ შემდეგი ინფორმაცია:

უცხოური პრინციპალი	შეწყვეტის თარიღი

8. ამ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირდა თუ არა განმცხადებელი სხვა ახალი უცხოური პრინციპალ(ებ)ისთვის?

თუ მონიშნეთ „დიახ“, წარადგინეთ შემდეგი ინფორმაცია:

უცხოური პრინციპალი	რეგისტრაციის თარიღი

9. მე-7 და მე-8 პუნქტებში მითითებულის გარდა, ჩამოთვალეთ უცხოური პრინციპალ(ებ)ი, რომელთა წარმომადგენლობაც განაგრძო განმცხადებელმა მოცემული ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უცხოური პრინციპალი

10. მოცემული ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, წარადგინა თუ არა განმცხადებელმა ცვლილების რეგისტრაციის განცხადება (დანართი №8), რომელიც შეეხება მანამდე წარდგენილ დანართ №2-ში ან/და დანართ №3-ში რომელიმე უცხოურ პრინციპალ(ებ)თან დაკავშირებული

ინფორმაციის ცვლილებას?

თუ მონიშნეთ „არა“, ხოლო დანართ №2-ში ან/და დანართ №3-ში განხორციელდა ცვლილებები, გთხოვთ, შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება.

თუ მონიშნეთ „დიახ“, წარადგინეთ შემდეგი ინფორმაცია:

უცხოური პრინციპალი	რეგისტრაციის თარიღი

III - საქმიანობა

11. მოცემულ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში, ჩაერთო თუ არა განმცხადებელი რაიმე საქმიანობაში ან გაუწია თუ არა რაიმე სახის მომსახურება უცხოურ პრინციპალს, რომელიც დასახელებულია ამ განცხადების მე-7, მე-8 ან მე-9 პუნქტებში?

თუ მონიშნეთ „დიახ“, დაასახელეთ თითოეული უცხოური პრინციპალი და სრულად აღწერეთ ყველა საქმიანობა და მომსახურება.

უცხოური პრინციპალი	საქმიანობა/მომსახურება

12. ამ ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ეწეოდა თუ არა განმცხადებელი რომელიმე უცხოური პრინციპალის სახელით პოლიტიკურ საქმიანობას?

თუ მონიშნეთ „დიახ“, დაასახელეთ თითოეული უცხოური პრინციპალი და დეტალურად აღწერეთ ყველა ასეთი პოლიტიკური საქმიანობა. სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითეთ ურთიერთობები, ინტერესები და პოლიტიკა, რომლებზე გავლენის მოხდენაც იყო მიზნად დასახული და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები. თუ განმცხადებელმა მოაწყო/დააფინანსა გამოსვლები, ლექციები, სოციალური მედია კამპანიები, ან მათ ფარგლებში წარსდგა სიტყვით, თუ მან დააფინანსა/განათავსა ინტერნეტ პოსტები ან მედია გადაცემები, მიუთითეთ დეტალები თარიღების, მიწოდების ადგილების, მომხსენებლების სახელებისა და თემების შესახებ. პასუხი უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ უნდა შემოიფარგლებოდეს ისეთი საქმიანობით, როგორიცაა ლობირება, პოპულარიზება, აღქმების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ეკონომიკური განვითარება ან/და საინფორმაციო მასალების მომზადება ან გავრცელება.

წარადგინეთ განმცხადებლის პოლიტიკური საქმიანობის ზოგადი აღწერა.

შეავსეთ ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო ველები განმცხადებლის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ:

უცხოური პრინციპალი	თარიღი	საკონტაქტო პირი	მეთოდი	მიზანი

13. ზემოაღნიშნული საქმიანობის გარდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩაერთო თუ არა განმცხადებელი რაიმე საქმიანობაში ან გასწია თუ არა რაიმე მომსახურება საკუთარი სახელით, რომელიც ემსახურება უცხოური პრინციპალ(ებ)ის სასარგებლოდ ინტერესების გატარებას?

თუ მონიშნეთ „დიახ“, წარადგინეთ სრული აღწერა:

უცხოური პრინციპალი	თარიღი	საკონტაქტო პირი	მეთოდი	მიზანი

IV - ფინანსური ინფორმაცია

14. (ა) ფულადი შემოსავლები

მოცემული ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიიღო თუ არა განმცხადებელმა რომელიმე უცხოური პრინციპალისგან ან ნებისმიერი სხვა წყაროსგან, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო რაიმე შემოწირულება, შემოსავალი ან ფული, როგორც კომპენსაცია, გაწეული ხარჯის ანაზღაურება, გრანტი ან სხვაგვარი დანიშნულებით გადახდა?

თუ მონიშნეთ „არა“, გთხოვთ, განმარტოთ მიზეზი, რატომ არ მიიღეთ ფულადი სახსრები

თუ მონიშნეთ „დიახ“, გთხოვთ, ქვემოთ მოთხოვნილი დეტალების მიხედვით, წარადგინოთ ინფორმაცია ცალ-ცალკე თითოეული უცხოური პრინციპალისთვის (გაითვალისწინეთ, რომ თუ განმცხადებელი აგროვებს ან იღებს შენატანებს, სესხებს, ფულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობას მისი უცხოური პრინციპალის ინტერესებისთვის ან ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც სახსრების მოზიდვის კამპანიის ნაწილს, ანტიკორუფციულ ბიუროს წარედგინება დანართი №5 - ფინანსური ინფორმაცია).

უცხოური პრინციპალი	მიღების თარიღი	გამცემი	გარიგების დანიშნულება	მიზნობრიობა	ოდენობა	ვალუტა

14. (ბ) შემოსავლები-სახსრების მოზიდვის კამპანია

მოცემული ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიიღო თუ არა განმცხადებელმა ფულადი სახსრები, როგორც სახსრების მოზიდვის კამპანიის შემადგენელი ნაწილი, რომელიმე უცხოური პრინციპალ(ებ)ის სახელით, რომელიც დასახელებულია ამ განცხადების მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებში?

იმ შემთხვევაში, თუ მონიშნეთ „დიახ“, აქვს თუ არა განმცხადებელს უკვე წარდგენილი დანართი №5 - ფინანსური ინფორმაცია რეგისტრაციის მიზნით?

თუ მონიშნეთ „დიახ“, მიუთითეთ დანართი №5-ის წარდგენის თარიღი

თუ მონიშნეთ „არა“, გთხოვთ წარადგინოთ მოთხოვნილი დანართი №5.

---

14. (გ) შემოსავლები - მატერიალური ფასეულობები

ამ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში, მიიღო თუ არა განმცხადებელმა რაიმე მატერიალური ფასეულობა, გარდა ფულისა, ამ განცხადების მე-7, მე-8 ან მე-9 პუნქტებში დასახელებული რომელიმე უცხოური პრინციპალისგან, ან სხვა რაიმე წყაროდან, უცხოური პრინციპალის ინტერესებისთვის ან

ინტერესებიდან გამომდინარე?

თუ მონიშნეთ „დიახ“, წარადგინეთ შემდეგი ინფორმაცია

უცხოური პრინციპალი	მიღების თარიღი	გამცემი	გარიგების დანიშნულება	მიზნობრიობა	მატერიალური ფასეულობა	ღირებულება	ვალუტა

15. (ა) ხარჯები-ფულადი სახსრები

ამ ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დახარჯა ან განკარგა თუ არა განმცხადებელმა ფულადი სახსრები ამ განცხადების მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებში მითითებული უცხოური პრინციპალის სახელით განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ან გადაუგზავნა თუ არა ფული რომელიმე ასეთ უცხოურ პრინციპალს

თუ მონიშნეთ „არა“, განმარტეთ, რატომ არ მოხდა ხარჯების გაწევა?

თუ მონიშნეთ „დიახ“, გთხოვთ, ქვემოთ მოთხოვნილი ინფორმაციის მიხედვით, წარადგინეთ ამ თანხების ანგარიშები, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში გადაგზავნილი თანხები, ცალ-ცალკე თითოეული უცხოური პრინციპალისთვის:

უცხოური პრინციპალი	მიღების თარიღი	გამცემი	გარიგების დანიშნულება	მიზნობრიობა	ოდენობა	ვალუტა

15. (ბ) ხარჯები - მატერიალური ფასეულობები

მოცემული ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განკარგა თუ არა განმცხადებელმა რაიმე მატერიალური ფასეულობა, გარდა ფულისა, იმ საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ან მასთან დაკავშირებული მიზნებისთვის, რომელიც განხორციელდა ამ განცხადების მე-7, მე-8 ან მე-9 პუნქტში მითითებული რომელიმე უცხოელი პრინციპალის სახელით?

თუ მონიშნეთ „დიახ“, წარადგინეთ შემდეგი ინფორმაცია:

უცხოური პრინციპალი	გაცემის თარიღი	მიმღები	გარიგების დანიშნულება	მიზნობრიობა	მატერიალური ფასეულობა	ღირებულება	ვალუტა

15. (გ) ხარჯები-პოლიტიკური შემოწირულებები

ამ ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განახორციელა თუ არა განმცხადებელმა (ან მოკლე სარეგისტრაციო ფორმით დარეგისტრირებულმა პირმა) საკუთარი სახსრებით ან საკუთარი სახელით, უშუალოდ ან ნებისმიერი პირის მეშვეობით, ფულადი შენატანი ან/და სხვა მატერიალური ფასეულობის სახით შემოწირულება, რომელიც რომელიმე პოლიტიკური თანამდებობის პირის არჩევნებს ან პოლიტიკური თანამდებობის პირის კანდიდატურის შესარჩევად გამართულ პრაიმერიზს, კონფერენციას ან ყრილობას უკავშირდება?

თუ თუ მონიშნეთ „დიახ", ფულადი სახსრების თაობაზე წარმოადგინეთ შემდეგი ინფორმაცია:

თარიღი	შემომწირველი/დამფინანსებელი	პოლიტიკური სუბიექტი	მეთოდი	თანხის ოდენობა	ვალუტა

თუ მონიშნეთ „დიახ", მატერიალური ფასეულობების თაობაზე წარმოადგინეთ შემდეგი ინფორმაცია:

თარიღი	შემომწირველი/დამფინანსებელი	პოლიტიკური სუბიექტი	მეთოდი	მატერიალური ფასეულობა	ღირებულება	ვალუტა

V - საინფორმაციო მასალები

16. მოცემულ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში, განმცხადებელმა მოამზადა, გაავრცელა ან ხელი შეუწყო თუ არა ნებისმიერი საინფორმაციო მასალის გავრცელებას?

თუ მონიშნეთ „დიახ“, დაასახელეთ თითოეული უცხოური პრინციპალი, ჩამოთვალეთ გავრცელებული საინფორმაციო მასალები და უპასუხეთ ამ სექციის დარჩენილ პუნქტებს.

უცხოური პრინციპალი

17. განისაზღვრა თუ არა ბიუჯეტი ან კონკრეტულად გამოიყო თუ არა თანხა განმცხადებლის საინფორმაციო მასალების მომზადების ან გავრცელების ხელშეწყობის საქმიანობების დასაფინანსებლად?

თუ მონიშნეთ „დიახ“, დაასახელეთ თითოეული ასეთი უცხოური პრინციპალი და მიუთითეთ დროის პერიოდი და თანხის ოდენობა.

უცხოური პრინციპალი	დროის პერიოდი	თანხის ოდენობა	ვალუტა

18. ამ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში, განმცხადებლის საქმიანობა, როგორიცაა საინფორმაციო მასალის მომზადება, გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა, მოიცავს თუ არა რომელიმეს გამოყენებას ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

ჟურნალს ან გაზეთს

სარეკლამო კამპანიებს

პრეს-რელიზებს

ბროშურებს ან სხვა პუბლიკაციებს

ლექციებს ან გამოსვლებს

რადიო ან სატელევიზიო გადაცემებს

კინოკადრებს

წერილებს ან ტელეგრამებს

ელ-ფოსტას

ვებგვერდის მისამართი (URL)

სოციალური მედიის ვებგვერდის მისამართი (URL)

სხვა (დააზუსტეთ):

---

19. მოცემულ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში მოამზადა, გაავრცელა ან ხელი შეუწყო თუ არა განმცხადებელმა საინფორმაციო მასალების გავრცელებას ნებისმიერ შემდეგ პირთა წრეს შორის:

საჯარო მოსამსახურეები

სამოქალაქო ჯგუფები ან ასოციაციები

კანონშემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები და მათი თანამშრომლები

ბიბლიოთეკები

საჯარო დაწესებულებები

საგანმანათლებლო დაწესებულებები

რედაქტორები

ეთნიკური ჯგუფები

გაზეთები

სხვა

სხვა (მიუთითეთ):

---

20. მიუთითეთ საინფორმაციო მასალებში გამოყენებული ენა:

სხვა (მიუთითეთ):

---

21. მოცემულ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში წარუდგინა თუ არა განმცხადებელმა ანტიკორუფციულ ბიუროს თითოეული საინფორმაციო მასალის ნიმუში, რომელიც მომზადდა, გავრცელდა ან რომლის გავრცელებასაც ხელი შეუწყო?

თუ მონიშნეთ „დიახ“, დაასახელეთ თითოეული უცხოური პრინციპალი და უპასუხეთ ამ სექციის დარჩენილ პუნქტებს.

უცხოური პრინციპალი	საინფორმაციო მასალის ტიპი	გავრცელების დაწყების დრო	აღწერა	ტირაჟი

22. გააკეთა თუ არა თითოეულ საინფორმაციო მასალაზე განმცხადებელმა თვალსაჩინო მითითება ,,უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად?